
სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა

უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა

დავით კერესელიძე*

წინამდებარე მიმოხილვაში წარმოდგენილია საქართველოს სასამართლოების განხილული ზოგიერთი საქმის ცალკეული ასპექტის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გაკეთებული შეფასება. ამასთან, შემოთავაზებულია სასამართლოს ხედვის მოკლე კომენტარი, ისევე როგორც მითითება მსგავსი გარემოებების შემცველ ზოგიერთ სხვა გადაწყვეტილებაზე. მიმოხილვაში დაცულია სასამართლო გადაწყვეტილების ფორმულირების სტილი და ტერმინოლოგია.

1. სესხისათვის გათვალისწინებული პროცენტის ზღვრული ოდენობა

2001 წლის 19 ოქტომბრის №3კ/809-01 განჩინებით¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა საკასაციო საჩივარი და გააუქმა ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2001 წლის 21 თებერვლის განჩინება. კასატორი მოთხოვნას აფუძნებდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (სსკ) 625-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც ხელშეკრულების მხარეებმა სესხისათვის შეიძლება გაითვალისწინონ პროცენტი, მაგრამ იგი გონივრულ შესაბამისობაში უნდა იყოს ეროვნული ბანკის ან ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობასთან.

1.1 საქმის გარემოებანი

საქმის აღწერილობითი ნაწილიდან ირკვევა, რომ მოპასუხემ მოსარჩელესაგან იხესხა 900 აშშ დოლარი. მოსარჩელის განმარტებით, თანხა ნასესხები იყო ყოველთვიური 10% სარგებელით. აღნიშნულის გათვალისწინებით დაინერა ხელწერილი, რომლის შედგენის დროისათვის 900 აშშ დოლარმა ყოველთვიური 10% დანამატით შეადგინა 3.000 აშშ დოლარი. ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატამ განჩინებით უცვლელი დატოვა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2.000 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება მოპასუხისათვის 3.000 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ. მან მიუთითა, რომ სსკ 341-ე მუხლის თანახმად იმ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რომლითაც აღიარებულ იქნა ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა, აუცილებელია წერილობითი აღიარება. მოცემულ საქმეზე საოლქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელემ მოპასუხეს 1998 წელს ზეპირი გარიგების საფუძველზე ასესხა 900 აშშ დოლარი თვეში 10% გადახდით და რომ 1999 წლის 19 მარტს მხარეებს შორის გაფორმდა ხელწერილი, რომელსაც ხელს აწერს მოპასუხე და რომლითაც დასტურდება, რომ მოპასუხემ წერილობით აღიარა 3000 აშშ დოლარის ვალის არსებობა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ (მოპასუხის მტკიცების მიუხედავად) არ დადგინდა ხელწერილის იძულებით დაწერის ფაქტი.

* GEPLAC-ის დირექტორის მოადგილე სამართლებრივ საკითხებში.

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, 2002, №1, 165.

1.2 უზენაესი სასამართლოს შეფასება

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ განმარტა, რომ „სსკ-ის 341-ე მუხლის თანახმად ვალის არსებობის აღიარება წარმოადგენს ხელშეკრულებას. ეს არის გარიგება, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისაკენ. სსკ-ის 54-ე მუხლის თანახმად ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს. თუ ვალის არსებობის აღიარება ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ასეთი გარიგება ბათილად უნდა ჩაითვალოს... სსკ-ის 625-ე მუხლის თანახმად მხარეებმა შეიძლება გაითვალისწინონ პროცენტის სესხისათვის, რაც გონივრულ შესაბამისობაში უნდა იყოს ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონის მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობასთან“.

შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს მიაჩნია, რომ „თუ მხარეებს შორის არსებობდა სესხის ხელშეკრულება პროცენტის გადახდის პირობით, ამ შემთხვევაში სესხი და პროცენტი გადახდილ უნდა იყოს კანონის მოთხოვნათა დაცვით და კანონის მოთხოვნისაგან განსხვავებული ყველა გარიგება ბათილია. ხოლო იმ შემთხვევაში თუ დადგინდა, რომ მხარეებს შორის არსებობდა სესხის ხელშეკრულება პროცენტის გადახდის პირობის გარეშე, ვალის არსებობის აღიარება ამ შემთხვევაშიც ბათილია, რადგან იგი ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნას, რომლის თანახმად თუ სესხი უპროცენტოა, მისი დაბრუნება უნდა განხორციელდეს პროცენტის გარეშე“.

ამასთან, უზენაესმა სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია ქუთაისის საოლქო სასამართლოს მითითება იმის შესახებ, რომ „ვინაიდან მხარეებს მტკიცებულება არ წარმოუდგენიათ ბანკთაშორის აუქციონზე დადგენილი პროცენტის თაობაზე, გარიგება ბათილად ვერ ჩაითვლება“. იგი განმარტავს, რომ „ეროვნული ბანკის ან ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონის მიერ დადგენილი პროცენტის ზღვრული ოდენობა წარმოადგენს ნორმას, საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს, რომელსაც მტკიცება არ სჭირდება და სასამართლო ვალდებულია ყველა შემთხვევაში გამოიყენოს იგი“.

1.3 კომენტარი

გაურკვევლობის თავიდან აცილების მიზნით, სსკ-ის 625-ე მუხლის მე-2 წინადადებაზე მითითებისას, მიზანშეწონილია, სასამართლოები ცალსახად მიუთითებდნენ, რომ ბათილია სსკ-ის 625-ე მუხლის 1-ლი წინადადებით გათვალისწინებული წესის დარღვევით დადებული შეთანხმება პროცენტის შესახებ და არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება თავად გარიგების ბათილობაზე საუბარი. ის, რომ მხარეები შეუსაბამოდ მაღალ პროცენტზე შეთანხმდნენ, არ უნდა იწვევდეს თავად გარიგების – სესხის თუ ვალის აღიარების ხელშეკრულების – ბათილობას. სსკ-ის 625-ე მუხლი არ ითვალისწინებს გარიგების ბათილობის საფუძველს. უფრო მეტიც, იგი ცალსახად განსაზღვრავს იმ ზღვარს, რომლის ფარგლებშიც მხარეებს მინიჭებული აქვთ მოქმედების თავისუფლება (გონივრულ შესაბამისობას ეროვნული ბანკის ან ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონის მიერ დადგენილი პროცენტის ზღვრულ ოდენობასთან). წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონი ითვალისწინებს შეთანხმების (და არა გარიგების) ბათილობას. 625-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა ვერ ჩაითვლება იმ სახის კანონის აკრძალვად, რომელიც სსკ-ის 54-ე მუხლის თანახმად გარიგების ბათილობის საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს. არც სსკ-ის 55-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, რაც უდავოდ უფრო ახლოს შეიძლება იყოს საქმის გარემოებებთან, არ უნდა მივიჩნიოთ ბათილობისათვის საკმარისად.

ნების გამოვლენა, რომლითაც მხარე აღიარებს 3.000 დოლარის ოდენობით ვალის არსებობას, არ ეწინააღმდეგება არცერთ კანონის მოთხოვნას. ამასთან, თუკი მხარე თავისი ნების გამოვლენას არასწორ მონაცემებზე ამყარებს, იგი მცდარი ვარაუდიდან გამოდის, შეცდომაში იქნა შეყვანილი, ან თუნდაც ადგილი აქვს იძულებას, ეს რასაკვირველია, მხედველობაშია მისაღები, თუმცა საქმის გარემოებებმა შეიძლება მხოლოდ საცილობის (და არა ბათილობის) საფუძლის არსებობა გამოავლინოს.

გაცილებით მომგებიანი იქნება, თუ სასამართლო საქმის გარემოებების გათვალისწინებით, მიიღებს გადაწყვეტილებას საპროცენტო განაკვეთის ეროვნული ბანკის ან ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის მიერ დადგენილი პროცენტის ზღვრულ ოდენობასთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ. იმის აღბათობა, რომ გამსესხებელმა შეიძლება მსესხებლის რთული მატერიალური ან ზოგჯერ უმწეო მდგომარეობითაც კი ისარგებლოს და იგი დაიყოლოს შესაბამოდ მაღალი პროცენტის დაწესებაზე, უსათუოდ საჭიროებს სასამართლოს ჩარევას. თუმცა, თუკი ასეთ გარიგებას ბათილად მივიჩნევთ (რასაც სსკ 625-ე მუხლის მე-2 წინადადება არ შეიძლება რომ ითვალისწინებდეს), ჩვენ ანალოგიურ უსამართლობასთან შეიძლება გვექონდეს საქმე. გამსესხებელს ხომ შეეძლო სესხის ხელშეკრულების დადების ნაცვლად ფული სარგებელის მისაღებად სხვაგვარად გამოეყენებინა.

ამასთან, სსკ 625 მუხლის 1-ლი ნაწილი ითვალისწინებს „გონივრულ“ და არა აბსოლუტურ შესაბამისობას ეროვნული ბანკის ან ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის მიერ დადგენილი პროცენტის ზღვრულ ოდენობასთან. შესაბამისად, როგორც აღნიშნულ ზღვრულ ოდენობაზე ნაკლებ პროცენტზე შეთანხმება, ისე მისი არაარსებითი, „გონივრული“ გადაჭარბება ჩვეულებრივ მისაღებად უნდა მივიჩნიოთ.

1.4 მსგავსი გარემოებების შეფასება სხვა გადაწყვეტილებებში

ინტერესმოკლებული არ არის უზენაესი სასამართლოს სხვა გადაწყვეტილებებში გამოთქმული მოსაზრებები სესხზე სარგებლის „გონივრულ“ ოდენობასთან დაკავშირებით. კერძოდ, სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა 2001 წლის 17 ოქტომბრის №3კ/831-01 გადაწყვეტილებაში² დაეთანხმა აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას და მიიჩნია, რომ სსკ-ის 625-ე მუხლის შესაბამისად, სესხზე სარგებლის სახით 7% დაწესება გონივრულ შესაბამისობაში არ იყო ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონის მიერ დაწესებული პროცენტის ზღვრულ ოდენობასთან (ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე დაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 3%-ს) და, შესაბამისად, 3%-ზე მეტი თანხა ზედმეტად გადახდილად მიიჩნია.

სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა 2001 წლის 31 ოქტომბრის №3კ/817-01 გადაწყვეტილებაში³ განმარტავს, რომ სსკ-ის 403-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია თანხის გადახდის ვადის გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს კანონით განსაზღვრული პროცენტი. ამასთან, სსკ-ის 625-ე მუხლით, კანონით განსაზღვრული პროცენტი გონივრულ შესაბამისობაში უნდა იყოს ეროვნული ბანკის ან ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონის მიერ დადგენილი პროცენტის ზღვრულ ოდენობასთან. შესაბამისად, სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა

² საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეებზე, 2002, № 1, 141.

³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეებზე, 2002, № 2, 253.

სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა

მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს სახით 15%-ის დაკისრების შესახებ, რომლითაც მხარემ ყოველთვიური ზიანის ანაზღაურების ოდენობა განსაზღვრა. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონის მიერ დაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი 1999 წელს შეადგენდა 2.5%-ს, 2000 წელს – 1.7%-ს, ხოლო 2001 წლის იანვარ-ივნისში 1%-ს.

2. ბათილი თუ უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება

2001 წლის 28 ნოემბრის №3კ/829 განჩინებით⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ არ დააკმაყოფილა კასატორის საკასაციო საჩივარი და უცვლელი დატოვა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამენარმეო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება.

2.1 საქმის გარემოებანი

თბილისის საოლქო სასამართლომ დადგინდად ცნო, რომ მოპასუხე შპს-სა და მის პარტნიორებს ჰქონდათ ბანკის და ბიუჯეტის დავალიანება, რომლის უზრუნველსაყოფად, გიროთი იყო დატვირთული როგორც შპს-ს ქონება, ისე პარტნიორთა წილი. დავალიანების ანაზღაურების მიზნით, ბანკმა მოიწვია აუქციონი, რომელზეც გატანილ იქნა პარტნიორთა წილები. აუქციონის თავიდან აცილების მიზნით, პარტნიორებმა 2000 წლის 26 სექტემბერს გამართულ პარტნიორთა კრებაზე დაადგინეს, რომ ბანკის წინაშე არსებული დავალიანების დაფარვის მიზნით თვითონვე მოეხდინათ წილების გასხვისება იმ პირობით, თუკი შემქმნები დაფარავდნენ დავალიანებას. ახალმა პარტნიორებმა იმავე დღეს დაფარეს დავალიანება, რამაც შესაძლებელი გახადა წილების აუქციონზე გაყიდვის თავიდან აცილება. იმავე დღეს პარტნიორებმა თავიანთი წილები მიყიდეს ახალ პარტნიორებს.

ამასთან, მოსარჩელემ სასამართლო პროცესზე განმარტა, რომ 2000 წლის 25 სექტემბერს მოპასუხესთან დადო სესხის ხელშეკრულება, რომელიც 2000 წლის 26 სექტემბერს ბანკში მის მიერ შეტანილი თანხის ახალი პარტნიორების მიერ უკან დაუბრუნებლობის შემთხვევაში თავის დაზღვევის მიზნით გააფორმა. იმ შემთხვევაში თუ ახალი პარტნიორები არ გადაუხდინდნენ მას ბანკის და ბიუჯეტის დავალიანების დასაფარად გადახდილ თანხებს, იგი ამ ხელშეკრულებით შპს-საგან მოითხოვდა შესაბამის თანხას. საოლქო სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხე შპს-სა და ყოფილ პარტნიორებს (მოსარჩელეს) შორის 2000 წლის 25 სექტემბრის თარიღით გაფორმებული სესხის ხელშეკრულება „მოჩვენებითი არასაიმგანზრახვოდ შედგენილი უცილოდ ბათილი გარიგება“ იყო.

2.2 უზენაესი სასამართლოს შეფასება

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ „კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ საოლქო სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 56-ე და 61-ე მუხლები, რაც იმაში გამოიხატა, რომ მოჩვენებითი გარიგება უცილოდ ბათილ გარიგებად ჩათვალია, სწორია. სესხის შესახებ გარიგება, დადებული იმ განზრახვის გარეშე, რომ მას მოჰყვეს იურიდიული შედეგი, ანუ არ იქნეს გადაცემული სესხი, არარა გარიგებაა და უცილოდ ბათილია. უცილოდ ბათილობა არ წარმოშობს არანაირ სამართლებრივ შედეგს არც მხარეთათვის და არც მესამე პირთათვის, ხოლო მოჩვენებითი გარიგება მხარეთა შეთანხმებით კანონსაწინააღმდეგო მიზნების მისაღწევად გამოიყენება.

⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეებზე, 2002, № 3, 356.

მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სადავო სესხის ხელშეკრულება, მართალია უცილოდ ბათილი არარა გარიგებაა, ვინაიდან იგი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის გაცემას არ ისახავდა მიზნად და ამ მოტივის გამო, თავისთავად, არც ვითომ კრედიტორისაგან სესხის დაბრუნების მოთხოვნის პრეტენზია გააჩნდა მას, მაგრამ მოჩვენებითი გარიგება ყოველთვის უცილოდ ბათილ გარიგებად არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს“.

ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ „საოლქო სასამართლოს მიერ მოჩვენებითი გარიგების უცილოდ ბათილ გარიგებასთან გაიგივება არ ცვლის ამ კონკრეტული გარიგების ბათილობას. სსკ-ის 623-ე მუხლის თანახმად, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვაგვარ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს ვალდებულებას დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. სესხის ხელშეკრულება არის რეალური ხასიათის. მარტოოდენ შეთანხმება სესხის თაობაზე ჯერ კიდევ არ ნიშნავს ვალის არსებობას. შეთანხმებასთან ერთად აუცილებელია სესხის საგნის გადაცემაც. არ შეიძლება სესხზე ლაპარაკი, თუ ფული ან ნივთი მსესხებელს არ ჰქონდა მიღებული. თუ მსესხებელი კისრულობს ვალდებულებას, კრედიტორს დაუბრუნოს ის, რაც მისგან არ მიუღია, ასეთი ხელშეკრულება არარა ხელშეკრულებად უნდა ჩაითვალოს. თუ სესხის უფულობა დასტურდება, ვითომ კრედიტორთან დადებული ყველა ხელშეკრულება ბათილია“.

2.3 კომენტარი

სსკ ითვალისწინებს ბათილ და საცილო გარიგებებს. ამ ორ ინსტიტუტს შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ თუ ბათილი გარიგება ასეთად ითვლება მისი დადების მომენტიდან და არ ნარმოშობს იურიდიულ შედეგებს, საცილო გარიგება მანამ რჩება ნამდვილი, სანამ შეცილების უფლების მქონე პირი გამოიყენებს მისთვის კანონით მინიჭებულ შეცილების უფლებას. შეცილების შემთხვევაში საცილო გარიგებაც ბათილი ხდება მისი დადების მომენტიდან. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ იგი არ იქნება შეცილებული, იგი ნამდვილია და შესაბამისად, მისი დადების მომენტში ნარმოშობილი უფლებები და მოვალეობებიც უცვლელი რჩება. ამგვარად, სხვაობა ამ ორ ინსტიტუტს შორის სწორედ იმაში გამოიხატება, რომ ბათილობისაგან განსხვავებით საცილობა იწვევს იურიდიულ შედეგებს და მისი ბათილად ცნობა მხარის ნებაზეა დამოკიდებული.

რაც შეეხება უცილოდ ბათილ (არარა) გარიგებას, იგი ბათილი გარიგების შინაარსის დამაზუსტებელ სინონიმად და არა ცალკე სახის ინსტიტუტად უნდა მივიჩნიოთ. ფრაზა „უცილოდ ბათილი“ აზუსტებს სწორედ იმას, რომ მისი ბათილობის განსაზღვრისათვის დამატებით შეცილება არ არის საჭირო. შესაბამისად, მიზანშეწონილია, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებში არ მოხდეს ისეთი ბუნდოვანი ფრაზების გამოყენება, როგორიცაა მაგალითად: „საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საოლქო სასამართლოს მიერ მოჩვენებითი გარიგების უცილოდ ბათილ გარიგებასთან გაიგივება არ ცვლის ამ კონკრეტული გარიგების ბათილობას“ ან რომ „მოჩვენებითი გარიგება ყოველთვის უცილოდ ბათილ გარიგებად არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს“. მოჩვენებითი გარიგება სსკ-ის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ყოველთვის ნარმოადგენს ბათილ ანუ უცილოდ ბათილ (არარა) გარიგებას და მისი ბათილობა არ არის შეცილებაზე დამოკიდებული.

2.4 მსგავსი გარემოებების შეფასება სხვა გადაწყვეტილებებში

ინტერესმოკლებული არ არის საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 16 იანვრის №3კ/1012-01 განჩინებაში⁵ გამოთქმული მოსაზრება. კერძოდ, სასამართლომ განმარტა, რომ „სესხის ხელშეკრულების წერილობითი ფორმის არსებობა არ ნიშნავს იმას, რომ ეს ხელშეკრულება არ შეიძლება იყოს მოჩვენებითი ან თვალთმაქცური. არ შეიძლება სესხზე ლაპარაკი, თუ ფული მსესხებელს არ ჰქონდა მიღებული. არარად ჩაითვლება სესხის ხელშეკრულება, თუ დასტურდება მისი უფულობა. ე.ი. არარა იქნება ისეთი გარიგება, როცა მსესხებელი კისრულობს ვალდებულებას კრედიტორს დაუბრუნოს ის, რაც მისგან არ მიუღია“.

⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეებზე, 2002, № 4, 553.